26 ოქტომბერს არჩევნებია, ყველანი - არჩევნებზე!

ხაშურის მოამბე

№40 (461) 21 ოქტომბერი, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლა ექნება

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი ქალაქ ხაშურში №2 საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოებს აგრძელებს

ხაშურის, დავით კაკიაშვილის სახელობის №2 საჯარო სკოლა 440 მოსწავლეზეა გათვლილი

საჯარო სკოლა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად რეაბილიტირდება და ის სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის

პროექტის მიხედვით მოეწყობა საკლასო ოთახები, საპირფარეშოები, სპორტული მოედნები და ეზოს ტერიტორია, დამონტაჟდება გათბობის, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემები, რეაბილიტაციისას ჩატარდება ენერგოეფექტურობის საჭირო სამუშაოებიც

დასრულდა სახურავისა და კედლების დათბუნება, რაც უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში ელექტრო ენერგიის დაზოგვას და სითბოს შენარჩუნებას

აღსანიშნავია, რომ დავით კაკიაშვილის სახელობის საჯარო სკოლა 1927 წელს, ხოლო მისი ერთი ფლიგელი 1970 წელს აშენდა, მას შემდეგ სკოლას რეაბილიტაცია არ ჩატარებია, შენობა იყო ავარიულ მდგომარეობაში და საჭიროებდა გადაუდებელ რეაბილიტაციას

№2 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია-მშენებლობა ხორციელდება მსოფლიო ბანკისგან მიღებული სესხისა და სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით, რომლის ფარგლებშიც 37 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციაა გათვალისწინებული

სამშენებლო სამუშაოები 2024 წლის ბოლოს დასრულდება

ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის (ყოფილი რკინიგზის კლუბის) რეაბილიტაცია დასასრულს უახლოვდება

„პროექტით, შენობის სრული რეკონსტრუქცია განხორციელდა. ამ ეტაპზე სრულდება როგორც დარბაზის, ასევე, კულისებისა და ადმინისტრაციული ოთახების მოწყობა. დამონტაჟდა თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემები, მოწესრიგდა წყლის და კანალიზაციის სისტემები, მოეწყო გათბობა. როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ხაშურის საქალაქო კულტურის სახლი ათწლეულების განმავლობაში არ გარემონტებულა, რეაბილიტაციის პროცესი შეფერხებით მიმდინარეობდა, თუმცა, ამ ეტაპზე პროექტი გეგმიურად სრულდება. “ აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

საქალაქო კულტურის სახლის რეაბილიტაციის შემდგომ, ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ახალ დატვირთვას შეიძენს.

სოფელ ნაბახტევში გზის დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

კედლის მშენებლობა მოქალაქეთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. პროექტის ღირებულება 344 740 ლარია.

ხაშურში, ტაბიძის სკვერში გამწვანების სამუშაოები მიმდინარეობს

ირგვება სხვადასხვა ტიპის ხე -მცენარეები: ფოტინია, კანადური ნაძვი, კვიპაროსი ლეილანდი, ზღვის ბალახი.

„ტაბიძის პარკი, ინფრასტრუქტურულად მოწყობილია, აქვს გარკვეული გამწვანებაც, თუმცა ამჯერად, კიდევ უფრო მეტი ხე-მცენარე ირგვება. ვთხოვთ მოსახლეობას გაუფრთხილდნენ როგორც ინფრასტრუქტურას, ასევე მწვანე ნარგავებს.“- აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ტაბიძის პარკში გამწვანების სამუშაოებს, ა(ა)იპ „წყლისა და გამწვანების კომპანია“ ახორციელებს.

2024 წლის 15 ოქტომბერს, პროფესიულ კოლეჯ "ქართლში", პირველი სასწავლო წლის დაწყება აღინიშნა

კოლეჯის დირექტორმა - ხათუნა ლობჟანიძემ მისასალმებელი სიტყვით მიმართა საზოგადოებას:

"...ჩემთვის დიდი პატივია ვიდგე დღეს აქ და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც ნდობა გამოგვიცხადა მე და ჩემს გუნდს შეგვესრულებინა მეტად საპასუხისმგებლო მისია, ვისთვისაც ღირებული იყო, არის და მომავალშიც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იქნება კოლეჯი "ქართლის" არსებობა საქართველოს შუაგულში - ხაშურის მუნიციპალიტეტში.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ პროფესიული კოლეჯის დაარსება-დაფუძნება ხაშურში, პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ემსახურება, რაც #პროფესიული_განათლების_საყოველთაო_ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით ითვალისწინებს:

ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობას, სოციალური ინკლუზიის, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობას, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებასა და შეთავსებადობას.

სახელმწიფოს მიერ უდიდესი ინფრასტრუქტურული ინვესტიციის განხორციელებამ განაპირობა კოლეჯის მისია - კოლეჯი „ქართლი" ჩამოყალიბდეს როგორც მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო შრომით ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას ტრადიციული ხელობებისა და თანამედროვე პროფესიების მიმართულებებით და, ხარისხიანი სწავლა-სწავლების გარდა, კოლეჯმა უზრუნველყოს კურსდამთავრებულთა დასაქმება-მეწარმეობის მხარდაჭერა.

კოლეჯის დაარსების იდეიდან მის სრულ რეალიზებამდე - დღემდე გაწეული შრომისათვის, ჩვენთვის ნდობის გამოცხადებისა და მხარდაჭერისათვის, თითოეული "აგურის დადებისათვის კოლეჯის შენებაში", მადლობას ვუხდით: კოლეჯის დამფუძნებელს - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს; განსაკუთრებული ღვაწლისათვის და კოლეჯზე ზრუნვისათვის, იდეის ავტორს - პროფესიული კოლეჯი აშენებულიყო ხაშურში, სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე, საუკუნის პროექტად წოდებული "ახალი ბანას" მულტიფუნქციური კომპლექსის ფარგლებში - სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსს სვიმეონს, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, სამშენებლო კომპანია "დაგს", განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, პროფესიული უნარების სააგენტოს, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, კოლეჯის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვადასხვა სერვისის მომწოდებელ კომპანიებს...

განსაკუთრებული_მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს_ძვირფას_კოლეგებს - კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლებს, არაჩვეულებრივ ადამიანებს, რომლებმაც ჩემთან ერთად გაიარეს ურთულესი და ხანგრძლივი გზა, კომპლექსური და ძალიან საპასუხისმგებლო პროცესები კოლეჯის დაარსებიდან დღემდე. ესენი არიან ძალიან მამაცი ადამიანები სწორი ხედვებით, გამორჩეული ენთუზიაზმითა და პროფესიონალიზმით, ერთგულები იმ ფუნდამენტური ღირებულებებისა, რომლებიც ჩვენ ერთად ვაღიარეთ - კეთილსინდისიერება, პროფესინალიზმი და განვითარება. ჩვენ_გავაძლიერეთ_ერთმანეთი და ჩამოვაყალიბეთ გუნდი, რომლის თითოეულ წევრს ყოველთვის გვწამდა, რომ ვემსახურებოდით ეროვნულ საქმეს - ისტორიის ახალი ფურცლის დაწერას ერთ პატარა, მაგრამ ძალიან დიდი ისტორიისა და შესაძლებლობების მქონე ქალაქში... ჩვენ_დავისახეთ_მიზნად - ჩვენი საქმიანი კულტურით პოზიტიური ცვლილებები შევიტანოთ ადამიანების ცხოვრებაში, ჩვენი თანამშრომლებისა და სტუდენტებისათვის შევქმნათ უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში მუშაობის, სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობები. ჩვენ_დავდეთ_პირობა, რომ, მიუხედავად მრავალმხრივი გამოწვევებისა, საჩუქარს გავუკეთებდით ჩვენს ხალხს და სიტყვა შევასრულეთ - ჩვენი მიზნების განხორციელებისათვის მყარი_ფუნდამენტური_ნაბიჯები_უკვე_გადადგმულია: კოლეჯი "ქართლი" ჩამოყალიბდა როგორც საგანმანათლებლო ინსტიტუცია და კორპორატიული მოქალაქე... ვამაყობ_თქვენით, ძვირფასო_კოლეგებო! ბევრჯერ გვინატრია და - დადგა ეს დღეც: ვიწყებთ სწავლას... უპირველესად_თქვენ_გილოცავთ ჩვენი თვდაუზოგავი შრომის შედეგს... მეიმედებით მომავალშიც თანამოაზრეებად და "თანამებრძოლებად" - გაერთიანებული კომპეტენციებით პროფესიული განათლების სისტემაში კოლეჯი "ქართლისათვის" ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად. აქვე მადლობა მინდა ვუთხრა ჩემი და ჩემი კოლეგების ოჯახის_წევრებს - ჩვენი მუდმივი მხარდაჭერისათვის გვეკეთებინა საქმე ამ მრავალმხრივ განსაკუთრებულ ადგილას და განსაკუთრებულ პირობებში ...

მადლობა ჩვენს ძვირფას მასწავლებლებს - ჩვენი კოლეჯის "ელჩებს", ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის დიდ ინტელექტუალურ აქტივს, სხვადასხვა დარგის პროფესიონალებს, გამორჩეულ ადამიანებს პიროვნული ღირსებებით და წარმატებული საქმიანობით.

გვეამაყებით და გვიმედებით ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში, თქვენი ცოდნა-გამოცდილების სათანადოდ გაზიარებაში და საუკეთესო შედეგების მიღწევაში!

მადლობა ჩვენს ძვირფას პარტნიორებს - სახელმწიფო კომპანიებს და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს, ორმხრივად სასარგებლო თანამშრომლობაზე გაცხადებული ნდობისათვის, პროფესიული პროგრამების შემუშავება-განხორციელებაში ჩართულობისათვის, კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმებაში სამომავალო მხარდაჭერისათვის.

მადლობა ძალიან დიდ და პატივსაცემ საზოგადოებას - ჩვენს თანამოქალაქეებს, ადამიანებს რომლებიც ჩვენთან ერთად დიდი ინტერესით ელოდებოდნენ კოლეჯის გახსნას, ჩვენთან ერთად იზიარებდნენ სიხარულს დიდი მიზნისკენ გადადგმულ ჩვენს ყოველ წარმატებულ ნაბიჯზე... მათი ეს დიდი ინტერესი და მოლოდინი მუდმივად გვამხნევებდა და გვიძლიერებდა მოტივაციას ჩვენს საქმიანობაში.

და ბოლოს, მადლობა ყველაზე მთავარ ადამიანებს ჩვენი კოლეჯისა და პროფესიული განათლების სისტემისათვის - კოლეჯში სწავლით დანტერესებულ ჩვენს ძვირფას პირველ_სტუდენტებს, რომლებმაც უდიდესი ნდობა გამოგვიცხადეს და გვანდეს თავიანთი მომავალი, გააკეთეს ინფორმირებული არჩევანი კოლეჯ "ქართლში" დაეუფლონ სხვადასხვა პროფესიებს და უკვე მომავალი წლის გაზაფხულიდან ახალი ცოდნით და უნარებით შეუერთდნენ შრომით ბაზარს დასაქმებულის თუ მეწარმის სტატუსით. ძვირფასო სტუდენტებო, იმედი_გვაქვს, რომ კოლეჯში სწავლის პერიოდშიც გამორჩეულები იქნებით თქვენი სანიმუშო დისციპლინით და მაღალი აკადემიური მიღწევებით. სწავლის დასრულების შემდეგ კი-მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ საკუთარი ოჯახების კეთილდღეობის გაზრდაში, ჩვენი ქალაქისა და ქვეყნის განვითარებაში და საუკეთესო მაგალითებს მისცემთ მომავალ სტუდენტებს, მომავალ თაობებს.

გილოცავთ_პირველი_სასწავლო_წლის_დაწყებას, წარმატებული_ყოფილიყოს_ყველასათვის!"

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ და პირველი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებს, მასწავლებლებს, კოლეჯის ადმინისტრაციას და საზოგადოებას მიულოცეს: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა - თამარ კვინიკაძემ, სურამისა და ხაშურის ეპისკოპოსმა სვიმეონმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ - ზვიად გოგუაძემ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სარებულოს თავმჯდომარემ - ნინო ლიპარტელიანმა, საკრებულოს წარმომადგენელმა - მაკა დიდებულიძემ, ხაშურის რესურცენტრის უფროსმა - მანანა აბაზაძემ, ხაშურის საბიბლიოთეკო გაერთიანების ხელმძღვანელმა - კლარა გელაშვილმა, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონის ხელმძღვანელმა- სოფიო ჯიქურმა.

კოლეჯის ოფიციალური გახსნისა და პირველი სასწავლო

წლის დაწყების აღნიშვნის ტრადიციული ცერემონია განახორციელეს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტმანეტის უფროსმა - თამარ კვინიკაძემ და კოლეჯის ხელმძღვანელმა - ხათუნა ლობჟანიძემ.

ახალი ათვლა დაიწყო, წინ ახალი გამოწვევებია...

ხაშურის საპატიო მოქალაქეები

რეზო ინასარიძე-კაცი, რომლისთვისაც ხაშური სალოცავი ქალაქია.

ქალაქის და, ზოგადად, ნებისმიერი დასახლების საერთო სახის შექმნაში, უმთავრესი როლი ამ ქალაქის მცხოვრებ ადამიანებს აქვთ, კი, გარკვეულ „მისიას“ ამ საქმეში ერთიანი ლანდშაფტი და ადგილმდებარეობა ასრულებს, მაგრამ მთავარი გმირები მაინც ინდივიდები არიან, ისინი, ვინც ქმნიან ამ ქალაქის ისტორიას, კულტურას, წარსულს, აწმყოს თუ მომავალს. ჩვენს ქალაქში, უფლის

წყალობით, ყოველთვის იყვნენ ისეთი პერსონები, რომლებიც თავისი ღვაწლით, ცხოვრების წესით და თუ გნებავთ, საოცარი უბრალოებით, ერთიანი მასიდან მკვეთრად გამორჩეულები იყვნენ და არიან. დღეს, ერთ-ერთი მათგანი უნდა წარმოგიდგინოთ. კინაღამ „გაგაცნოთ“ წამომცდა, არადა, იმდენად უხერხული იქნებოდა ეს ზმნა, ამ კონტექსტში, რომ ყველა გაიღიმებდა, აბა, რა გაცნობა უნდა ხაშურის ნამდვილ კოლორიტს, მართლაც კაცურ კაცს, რომელსაც მთელი ქალაქი ისედაც მშვენივრად იცნობს და ყველას სიყვარულის ობიექტია-რეზო ინასარიძე.

არ ვიცი, როდის დადგინდა ეს წესი, როდესაც საპასპორტო სახელი მკვეთრად განსხვავდებოდა იმ სახელისგან, რომელსაც ადამიანი შემდეგ მთელი ცხოვრება ატარებდა. ვითომ რატომ არ შეიძლებოდა პასპორტშივე ჩაწერილიყო ვთქვათ, ეკა და არა ეკატერინე, მიშა და არა მიხეილი, ბესიკი და არა ბესარიონი და ასე შემდეგ. მით უმეტეს, თუ ინდივიდს ასე სურდა? რატომ დავიწყე ეს „მონოლოგი“? მომკალით და ჩვენი წერილის გმირს, სრულებით არ უხდება საპასპორტო სახელი-რევაზი, რაღაც ნამეტან ოფიციალურს ხდის. რეზო ინასარიძემ კი სწორედ იმ საოცარი უბრალოებით დაიმკვიდრა ადგილი, რომელიც მთელი ცხოვრების წესად აქცია. თანამდებობაც ჰქონდა და საკმაოდ მაღალიც, მაგრამ კაბინეტს და „რბილ სკამს“ არ შეუცვლია მისი შინაგანი ეგო. ყველასთვის „ჩვენი რეზო“ იყო და ასეთად დარჩა.

სწორედ ამაშია ამ კაცის ერთ-ერთი მთავარი ხიბლი. მარტო მისი სამეგობრო წრე რომ ჩამოთვალო, ესეც იკმარებდა ზემოაღნიშნული ფაქტის დასტურად. ვის არ ნახავთ აქ-უბრალო მუშიდან(ან რატომ უბრალო?) დაწყებული, ყოფილი თუ მოქმედი სახელმწიფო მინისტრებით დამთავრებული. ის ყველასთვის „ჩვენი რეზოა“, არადა, რამდენი მინახავს, რაღაც თანამდებობაზე აღზევებულნი, სალამი რომ უმძიმდებათ და ისე დაიარებიან, თითქოს ოლიმპოს მთაზე, ღმერთების გვერდით დაიდეს ბინა. მის სამეგობრო წრეზე ასე ვერ გავჩერდები, მართლაც ფართოა ეს წრე, საოცრად ფართო. ორ

მაგალითს მოვიყვან მხოლოდ: საბჭოთა კავშირი კაი ხუთი-ექვსი წლის დანგრეულია, ერთი ხაშურელი კაცი რუსეთშია ჩასული და მოსკოვის ერთ-ერთ უმსხვილესი ბაზიდან კონკრეტული საქონლის წამოღება უნდა. რუსეთი უკვე აღრენილია საქართველოზე და მოსკოვშიც ქართველების გაგონებაც არ უნდათ . ამ კაცსაც უთხრეს, დირექტორი თუ გადაწყვეტს ამ საქმეს, თორემ სხვა არაფერი გიშველისო. ხელი ჩაუქნევია, მაგრამ მაინც შესულა მასთან ვაგზლისხელა კაბინეტში. პა-პა-პა-არ გამოვა ეგ ამბავი და კარგად ბრძანდებოდეთო-დირექტორმა, გამოსვლისას კი, ისე, სასხვათაშორისოდ, უკითხავს, სად ცხოვრობ საქართველოშიო. ხაშურშიო, მიუგია პასუხი. ხაშურშიოოოოო-აქ კი სახე შეცვლია დირექტორს, რეზოს თუ იცნობ ინასარიძესო?... რას ქვია ვიცნობ, ჩემი უახლოესი მეგობარიაო. ხოდა, რეზოს უთხარი მადლობა, ხელცარიელი რომ არ მიდიხარ აქედანო. ნახევარ საათში ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი იყოო, ეს კაცი ყვებოდა შემდეგ. მეორე ამბავი უკვე საქართველოში მოხდა,ამ ოციოდე წლის უკან. მაშინდელ ინფრასტრუქტურის მინისტრთან ოფიციალური შეხვედრა ყოფილა, სადაც ერთ-ერთი ხაშურელიც იმყოფებოდა. მინისტრი ყველას გაცნობია. როდესაც ამ კაცის ხაშურლობა გაუგია, ღიმილით უთქვამს, რომ ჩახვალ, რეზო მომიკითხე, ინასარიძეო, უკაცრავად, მაგრამ არ ვიცნობ ეგეთ კაცსო-გაჩუმებულიყო მაინც... ეჰ, არ ყოფილხარ შენ ხაშურელიო, ხელი ჩაუქნევია მინისტრს.

ცალკე თემაა მისი დამოკიდებულება ჩვენს ქალაქთან. საოცრად უყვარს ხაშური. პირადად ჩემთან აქვს ნათქვამი, ერთი წამითაც ნუ მაცოცხლა ხაშურის გარეშეო. ამიტომაცაა, რომ ქალაქიც იქით უბრუნებს სიყვარულს. ეს ქალაქი მისთვის ის თბილი ბუდეა, რომელიც მაცოცხლებელ ელექსირს აძლევს მას. ისტორიკოსი არ არის, მაგრამ ნამდვილი „ხაშურთმცოდნეა“. უახლოესი 50-60 წლის ისტორიიდან, თუ რამის გაგება გინდა კაცს, მას უნდა ჰკითხო. სრული სიზუსტით მოგიყვებათ, ვინ იყო, რა იყო, სად იყო, როდის იყო, როგორ იყო, ან როგორი იყო. კიდევ ცალკე თემაა მისი იუმორი, რეალურ ისტორიებს ისე მოგიყვება, სიცილით რომ დაგღლის კაცს. ამიტომაცაა, მასთან არასდროს რომ არ მოიწყენ, გიხარია მის გვერდით ყოფნა, გიხარია და გსიამოვნებს.

კაცისთვის უმთავრესი ღირსება ოჯახიაო, ნათქვამია და ამ მხრივაც სამაგალითოა. ულამაზესი მეუღლე, წარმატებული შვილები და ერთმანეთზე უკარგესი შვილიშვილები. სხვა რა არის ადამიანის ბედნიერებისთვის საჭირო?

წელს, ხაშურქალაქობაზე, ხუთ კაცს მიანიჭეს საპატიო ხაშურელის ტიტული. ჩვენ მკითხველს დავპირდით, რომ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე შევახვედრებდით გაზეთის ფურცლებზე. რატომ დავიწყეთ ბატონი რეზოთი? დღეს იგი იუბილარია! ვულოცავთ, ამ ღირსეულ კაცს ამ დღეს და ულევ სიხარულსაც ვუსურვებთ. და ერთი სურვილიც, ღმერთმა ბევრი მისცეს ჩვენს ქალაქს მისნაირი ადამიანები, რომლებიც ხიბლს და სილამაზეს ჰმატებენ ხაშურს.

გოგი გოგოლაძე

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39)

სურამის ფრონე - იგივეა, რაც სურამის წყალი, სურამულა.

სურამის წყალი - მდინარე. “ხოლო კუალად ალის-წყლის დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოდის ლიხის მთას, მიერთვის ჩრდილოეთიდამ მტკუარს, ოსიაურს ზეით” /ვახუშტი ბატონიშვილი აქ უზუსტობას უშვებს.კერძოდ, სურამის წყალი “ოსიაურის ზეით” არ ერთვის მტკვარს. იგი მიედინება აღმოსავლეთით და დ. აგარასთან ჩაედინება მტკვარში. მას ერთვის ალის წყალი, ფცის წყალი. ოსიაურში, სატივეში, მოხისში, ქვენა ტკოცაში და ა.შ. მიმავალ მდინარეს დღესაც სურამულას ეძახიან, მითუმეტეს, რომ სურამულა დღეს მართლაც ,,ოსიაურს ზეით” ერთვის მდ. მტკვარს. მხოლოს იმ განსხვავებით, რომ მდინარეს XX ს-ის 60-იან წლებში შეუცვალეს კალაპოტი.

სურამის ხეობა - ადგ, ხეობა. ,,სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარეოს დასალით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამხრეთით არს ბეკამი, ტეძერი, ვიდრე შოლამდე, ჩრდილოთ სურამის ხეობა”. ე.ი. სურამის ხეობა იწყება სურამიდან და მიემართება სურამის წყლის, იგივე სურამულას სათავეებისაკენ, რიკოთის უღელტეხილისაკენ. ფიქსირდება ისტორიულ დოკუმენტებში. მაგ; სურამის მოურავ იასე მურვანიშვილისადმი ერეკლე II - ის 1779 წლის 26 ივნისის ბრძანებაში. ბრძანების თანახმად იოვანე ნათიშვილს, ,,რაც სურამის ხეობაზედ მამული ჰქონია და აქვს“, ,,სხვას ხელი არავისა აქვს ცილობად“. ,,...როგორც ჩვენს სიგელში სურამის ხეობის მამული დაგვემტკიცებინოს, ახლა ის უკლებრივ მოაბარე და ვისაც ამისი მამული ეხნას და ბარა ეჭამოს, ყველას გამოართვი და ახლავ თავისი მოაბარე“.

სურამის ხოდაბუნი - ადგ; სახნავი, სათესი. XVIII ს - ის I მეოთხედით დათარიღებულ ვახტანგ VI - ის ბრძანებაში ნათქვამია: ,,ჩვენი ბძანება არის სურამის მამასახლისო ვარდანასშვილო ბერო! მერმე ამ მუვანისშვილს მურვანისი მიწა ჩვენს სურამის ხოდაბუნზედ აუცილე და შვიდი დღისი მიწა წვერიანისშვილი, რომ ესახლა იქ ტილიან[ი]ს პირზე მიუზომე, ამისთვინა გვიბოძებია“. ს. ს. ორბელიანის მიხედვით ხოდაბუნი ,,საბატონო დიდი ყანაა“ . როგორც ამავე საუკუნის 20-იანი წლებით დათარიღებული საბუთიდან ირკვევა მურვანისათვის აღნიშნული მიწა კაკალათხევში მოუცვლიათ: ,,ბატონისშვილის აბდულა ბეგის კეთილად სახსენებელო და აროდეს არ დასავიწყარო ავალიშვილო ბატონო ქაიხოსროვ... მერმე ამ მურვანის მიწა შაჰნავაზხანს თავის ხოდაბუნზედ დაუდვინებია. იმის სანაცვლო მიწა კაკალათხევაში უბოძებია... თუ ჩვენი თავი გინდა, შაჰნავაზხანის ნაბოძებ მიწა[ს] ნუ მოუშლი“. შემორჩენილია საბუთი, რომლის თანახმადაც ქაიხოსრო ავალიშვილს მურვანიშვილისთვის კაკალათხევში მიწები დაუთმია: ,,ესე წიგნი გიბოძეთა ჩვენ, ავალიშვილმან ბატონმა ქაიხოსრომან შენ, მურვანისშვილს მურვანსა. ასე რომე ბატონმა კაკალათხევს წყალობა ჩვენ გვიყო და რაც ბატონისაგან წყალობა მიწები გვებოძა, ჩვენც დაგვინებებია და მოგვიცემია ყოვლის კაცის უცილებლათა დაგანებეთა“ .

სურამულა - მდინარე, გამოდის ორხევიდან. ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან ოსიაურის ტყესთანს ახლოს.

ტორაძის ვედრიასეული მამული - ადგ; სახნავი, სათესი. 1644 წელს როსტომ მეფემ მამული უბოძა გიორგი შამბულიძეს: ,,ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა ყმათა შამბულიძეს გიორგის, პატასა, მაზარურს(?), ფარიდანს, მამუკას, სეხნიას და ბაინდურს, შვილთა და სახლისა თქვენისათა მომავალთა. მას ჟამს ოდეს მოგვადეგით კარსა და მამულის წყალობას გვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ სურამს ტორაძის ვედრიასეული მამული სამართლიანის სამზღურითა, ზეით ვაცის(?) წუერიანად... ყოვლითურ თქვენთუის გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოდ გქონდეს ამ წესით, რომე ლაშქრობა-ნადირობის მეტი არა გეთხოებოდესრა“

ურიების ნასახლარი - ადგ; 1733 წლის 8 ივლისს როსტომ ჩხეიძემ ნასახლარი მიჰყიდა ყობია ურიაყოფილისშვილს: ,, ,,...ნასყიდობის წიგნი, პირი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, ჩხეიძემა როსტომ და დავით და ჩვენმა სახლისკაცმა და შვილმა და მამავალმა სახლისა ჩვენისამა თქვენ, ურიაყოფილისშვილსა ყობიასა და შვილსა შენსა აბრამასა, შვილსა და მამავალსა სახლისა შენისასა. ასე რომე მოგყიდე ჯაფნიაურში მიწა ურიების ნასახლარი, აქეთ ჯობაძის მიდგმამდი, იქით კვინიკაძის ოთიას მიწის მიდგმამდი, თავის ტყე მათი ბოლოს რუმდი რაც ჩემი მიწა არის, ჯობაძის მიწის ბოლო არის, სულ შენთვის მამიცია“.

ფეშრუკას მამული - ადგ; სახნავი, სათესი. 1734 წლის 10 ივნისს ბაქარ მეფემ უბოძა ზურაბ ჩარექიშვილს. იხ. ზე სურამი.

ფიჩხაძეთა ვენახი - ადგ; ვენახი. 1862 წლის 26 ივნისის მიწის ნასყიდობის საბუთის მიხედვით ზურაბ მურვანიშვილის ქვრივის მიერ შამელ ფიჩხაძისათვის მიცემული ნავენახარის სამხრეთი საზღვარი.

ფრონე - იხ. იგივეა რაც სურამის ფრონე. დაფიქსირებულია 1857 წლის 12 მაისის საბუთში: ,,...ნასყიდობის სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ, სურამში მცხოვრებელმან თავადმა ყარამან ხიდირბეგოვის კნეინა კეკელამა და სვილმა ჩემა შაშამა და ჩიტომა და მიხაკამა და მაზლმა ჩემა თავადი ხიდირბეგოვის ივანეს ძემა დიმიტრი ხიდირბეგოვმა და მაზლის წულმა ჩემა ილიკომა... თქვენ, ამავე სურამში მცხოვრებთა საეკკლესიო ყმათა ბინო მანაშერაშვილსა და შვილსა შენსა მოშეშა და ელიასა... მას ჟამსა როდეს დამჭირდა და მოგყიდე ჩვენი მამა-პაპისა სამკვიდრო სურამში მდებარე ბაღის ადგილი თავისის სამძღვრებითა: თავს ნინიკა გაგოშიძის მიდგმამდინ, ბოლოს კიდევ გაგოშიძის მიდგმამდინა, ერთ გვერდი ისევ გაგოშიძის მიდგმამდინა, მეორე გვერდი ფრონე წყლამდინა“.

ღარიბა - ადგ; სახნავი. დაფიქსირებულია ბერა ვარდანასშვილის მიერ აბდულა თოფჩიაშვილისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში. საბუთი თარიღდება XVIII ს-ის 30-იანი წლებით. ,,...ესე ნასყიდობის სამის დღის მიწის წიგნი მოგეც მე, ვარდანასშვილმა ბერამ და ძმამა ჩემა ბესამ და აზარიამ და ძმისწულმა ჩემა ვარდანა შენ, თოფჩიასშვილსა აბდულასა და ოსმანასა და ავთანდილასა, შვილსა და მომავალსა სახლისა თქვენისასა. [გ]ქონდეს და გახმაროს ღმერთმა შეწირული მიწა ღარიბაში“.

ღარიბას ხოდაბუნი - ადგ; იხ. სადამღაწიშვილო.

ღვთაების ეკლესია//მღთაების საყდარი - ადგ., სალოცავი. მასზე შეცილება აქვთ ბებიაშვილებს. 1675 წელს მათ შორის დაიდო უდაობის საბუთი, რომელშიც ნათქვამია: ,,...ესე წიგნი მოგეცით ჩვენ, შენმა განაყოფმა ბებიაშვილმა სოროზანამა, მღდელმაცგიორგიმ, იორდანამ, მიქელა[მ], შვილმა სუხანამა და პატ[ა]მა, მომავალმა სახლისა ჩვენისამა შენ, ნიკოლოზს, ნასყიდასა, ბერსა, შვილთა და მამავალთა ყოველთავე. ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მღთაების საყდარ-სასაფლაოს გეცილებოდით, დასტურათ ჩვენი კერძიც იყო, მაგრამ აღარას გამოგეკიდენით და ასრე შევრიგდით და დაგანებეთ, რომე იმ სასაფლაოსთან არც ჩვენს ნათესავს კაცსა და არც სხვას კაცს ხელი არა გუქონდეს შენის სახლის კაცის მეტსა. ვინც ამაში შემოგეცილოს, პასუხი ჩვენ გავცეთ“. 1810 წელს მიტროპოლიტი იუსტინე მაღალაძე ღვთაების ეკლესიის წყალობის წიგნს აძლევს მურვანიშვილებს: ,,...ესე წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ, ყ[ოვლა]დ უსამღვდელოესმან მთავარეპისკოპოზ მროელ მიტროპოლიტმან ნიქოზელმან მაღალაძე იუსტინემ თქვენ, მურვანისშვილს ლუარსაბს, შვილსა შენსა ზურაბს, ძმისწულებსა შენსა და შთამომავალთა სქესისა თქუენისათა. ასე რომ სურამს ღვთაების ეკლესიის საყდარი ძველათაც თქვენის ოჯახის სამკვიდრო ყოფილიყო და ახლაც ჩვენმა ხელმწიფემ სანატრელმა მეფემ ირაკლიმაც განჩინებით გიბოძათ და განგიახლათ. ეგრეთვე, რომელსაც მეფის ერეკლეს განჩინებაში აცხადებს იმ ეკლესიის ბოძებასა შიგნით სასაფლაოსა და გარეთ ეგრეთვე უნდა გეჭიროს. ამას ვერავინ შემოგეცილება და რომელიც სახასო მღვდელნი იქმნებიან, შენ იქ მღვდელმოქმედებას ვერ დაუშლი და ეგრეთვე სახასო მღვდელნი შენს მღვდელს იმ ეკლესიაში მღვდლობას ვერ დაუშლიან და რომელნიც მღვდელნი იმ ეკლესიაში იქმნებიან, თქვენს წინააღმდეგობას ვერ იხმარებენ“.

ღანიძეს მამული //ღაღანიძის მამული - ადგილი. ერეკლე I (ნაზარალიხანის) 1695 წლის სიგელიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ადგილი ზაალ აბაზაძეს უბოძა ელენე დედოფალმა. ივანე და სოლომონ აბაზაძეების საქმეზე 1778 წლის განაჩენში ადგილი მოიხსენიება, როგორც “ღაღანიძის მამული”. ღაღანიძე რუისის საწყმსოს 1715 წლის დავთრით დასტურდება ს. ზინდისში. 1783 წლის 25 აპრილს მამული იულონ ბატონიშვილმა მურვანიშვილებს უბოძა: ,,...ძემან მისის უმაღლესობის საქართველოს მეფის ირაკლისამან ბატონიშვილმან იულონ და ძმამან ჩვენმან ბატონიშვილმან სლექსანდრემ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი და სიგელი თქვენ, აზნაურშვილთ მურვანიშვილს იესეს, ძმასა შენსა ქაიხოსროს და ლუარსაბს და ბიძაშვილსა თქვენსა რევაზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა. ასე რომ ღაღანიძე ამოვარდნილიყო და ამ ღაღანიძის მამული ბეითალმანი იყო. მოგვადეგით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და ამ ღაღანიძის მამულის წყალობას დაგვეაჯენით. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ღაღანიძის ბეითალმანი მამული. სურამს მალიაშვილის მამული, ერთი საკომლო, კიდევ იქავ სურამს გიგინიშვლის მამული, ერთი საკომლო, შინდარას სამი საკომლო ბედიანაშვილების მამული და ბეკამს ნოზაძე ნასყიდა თავისის მამულით. ეს ექვსი კომლი ბეჟან ღაღანიძისა ყოფილიყო, მეფეთაგან წყალობა სჭირვებოდა და ღაღანიძის წიგნებიც შენა გქონდა... შეგიწყალეთ და გიბოძეთ ყოვლის მისის სამართლიანის სამზღვრით“.

ღვთაების საყდრის სასაფლაო - ადგილი; სასაფლაო. მასზე სურამლებთან მურვანიშვილების დავა ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ გადაწყდა. 1793 წლის საბუთში ნათქვამია: ,,ქაიხოსრო, ლუარსაბ და რევაზ მურვანიშვილი და სახასო სურამელნი ღვთაების საყდრის სასაფლაოზედ ლაპარაკობდნენ. რადგანაც მურვანიშვილები ძველათგან ღვთაების ეკლესიაში საფლაებულიყვნენ, აღარც ჩვენ მოუშალეთ. როგორც ამას წინათ საფლაებულიყვნენ, ახლაც ისე დაესაფლავნენ და საყდარს გარეთ ვისაც ძველთაგან სასაფლაო ჰქონიათ, ამას იქითაც იმ გვარათ უნდა ჰქონდესთ“.

ღვინიასეული მამული - ადგილი. დოროთეზ კათალიკოზი 1584 წლის ახლოს იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიასა ზე-სურამში (გვერდისუბანი) შეწირა ,,... შიშნაშვილ ბეჟიტა, მისი ღვინიასეული მამულითა და მისის შვილებითა და მომავლითა“.

ყობიას მიწა - ადგ; იხ. საქოლავი.

შაველა - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია 1851 წლის 1 მაისს შედგენილ საბუთში. მასში ნათქვამია: ,,...ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცი ჩვენ სურამში მცხოვრებელმა მემკვიდრემ დავით მღდელმან ბებიომა (ბებიაშვილი - თ.ლ.) დაჩემა შვილიშვილმა ივანემა და ჩემა ბიძაშვილმა საბამა, თქვენ სურამში მცხოვრებელს სახემწიფოს ყმასა მიქელა აკოფოვსა და ძმასა შენსა გაბრიელსა და გიგოლასა და ძმისწულსა შენსა სოსოსა და მომავალსა სახლისა შენისასა. ასე და ამა პირსა ზედა მოგყიდეთ ჩემგანაც ნასყიდი მიწა შაველაში ზომით ოთხის დღისა. თავს რუსის შარამდინ, ბოლოს ჯობაძეების მიწის მიდგმამდინ, აქეთ გვერდი ჩემის ძმის აკოფას მიწის მიდგმამდინ, იქით გვერდი იაკოფა იაკოფაშვილის მიწის მიდგმამდინ“.

შავი ბოგირი – ადგ; ბოგირი სურამში მდ. სურამულაზე.

შათირისშვილის მამული - ადგ; 1756 წლის 5 მარტს ,,ერთ წილათ სურამს, შათირისშვილის მამული, დღეს რისაც მქონებელი არის, ის ერგო იოვანეს“.

შაფრაშვილის მამული - ადგ; 1756 წლის 5 მარტს ,,ერთ წილ[ა]თ სურამს შაფრაშვილის მამული, დღეს რისაც მქონებელი იყოს, ერგო იოვანეს მორდლის ყაბულით“ .

შინდარის მიწა - ადგ; სახნავი, სათესი. დაფიქსირებულია XVIII ს - ის 50-იანი წლების მიწის ნასყიდობის საბუთში: ,,...ნასყიდობის წიგნი, პირი და სიგელი დაგიწერე და მოგეც მე, ბაზიერისშვლმა ზურაბას შვილმა გიორგიმა და ძმამა ჩემა ღარიბამა... შენ, ჯანასშვილს ურიაყოფილის შვილს ყობიასა და შვილსა შენსა აფრამასა... ასე და ამა პირთა ზედა რომე დამჭირდა [და] მოგყიდე ჩვენგანა ალალ ნასყიდი სვიმონასშვილისაგან შინდარას მიწა. თავს როსტიასშვილის დომელას მიწის მიდგმამდინ, გვერდზედა როსტიასშვილის დათუას მიწის მიდგმამდი და ბოლოს შარამდი და სამნამდი. იქით ბოლოკაძის მიწის მიდგმამდი“. ფიქსირდება აგრეთვე 1871 წლის 1 ნოემბრის მიწის ნასყიდობის საბუთში, რომელშიც ნათქვამია: ,,...სოფელს ხაშურში მცხოვრებელმა აზმცხოვრებელს აზნაურს გრიგოლ ივანეს ძე აბაზაძეს შინდარის მიწა მდებარე დაახლოებით სოფელ ხაშურზედ... ეს ხსენებული მიწა (,,შეიცამს“) საზღვრებს: აღმოსავლეთით ტარიელ ხიდირბეგიშვილის მიწის მიდგმამდის, დასავლეთით გიგო ბოლოკაძის მიწის მიდგმამდის, სამხრეთით ისევ თქვენივე გიგო აბაზაძის მიწის მიდგმამდის, ჩრდილოეთით კიდევ გიგო ბოლოკაძისმიწის მიდგმამდის“. შუაველი - ადგ; სახნავი, სათესი. 1584 წელს გიორგი ბატონიშვილმა იტრიის ღვთისმშობლის ეკლესიას შეწირა ,,სურამს შუაველს ერთი ხოდაბუნი“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით - ევროპისკენ!
აირჩიე მშვიდობა!
აირჩიე ტრადიციული ფასეულობები!
აირჩიე საქართველოს ნათელი, ევროპული მომავალი!

ძვირფასო თანამოქალაქეებო!

2012 წლის 1 ოქტომბერს ქართველი ხალხის უპრეცედენტო ერთიანობამ ისტორიული გამარჯვება მოგვიტანა და თავისუფლება დაგვიბრუნა. ამ გამარჯვებამ დაამტკიცა, რომ რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს შიდა და გარე მტერი, როდესაც საქმე ჩვენი ხალხის ღირსებასა და თავისუფლებას ეხება, ქართველისთვის უკან დასახევი გზა არ არსებობს!

ღირსება და თავისუფლება ქართველი კაცისთვის ხაზია, რუბიკონი, რომელიც არ უნდა გადალახო, მაგრამ თუ მაინც გადალახავ, ქართველი ხალხის ერთიანობის ძალა წაგაქცევს!

1 ოქტომბერი არ ეკუთვნის რომელიმე პარტიას, რომელიმე ცალკეულ ადამიანს, 1 ოქტომბერი ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს, რომელთაც საოცარი ერთიანობით, „ქართულ ოცნებასთან“ ერთად, ქვეყანას ჩამორეცხეს შავი ლაქა, რომელიც თავისუფლად სუნთქვის, აზრის გამოხატვის, სიმართლის გატანის, ბიზნესის კეთების, ღირსეულად ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევდა.

პატრიოტიზმი მხოლოდ იარაღით ხელში სამშობლოს დაცვა როდია, ყველაფერთან ერთად, ესაა გამბედაობა, რომ უსამართლობის წინააღმდეგ აიმაღლო ხმა სწორედ მაშინ, როდესაც ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს! ჩვენ გავბედეთ! შეუძლებელი შევძელით და თუკი 2011 წელს, პოლიტიკაში ჩემი მოსვლის მომენტში, ხალხს ქუჩაში გამოსვლისა და შეკრებისაც კი ეშინოდა, 2012 წლის 29 სექტემბერს, სულ მცირე, ნახევარი მილიონი პატრიოტი მოეფინა თბილისის ქუჩებს, რათა ყველასათვის გვეჩვენებინა,

რომ არავის და არაფრის გვეშინია, 1 ოქტომბერს კი ქუდზე კაცი მივედით საარჩევნო ყუთებთან და არა მხოლოდ გადავრჩით, არამედ გავიმარჯვეთ!

ამ ერთიანობის ძალით შევძელით ბოროტების სიკეთით, ხოლო სიცრუის სიმართლით დამარცხება. სწორედ ჩვენი ხალხის ამ ერთიანობას ვერ აღუდგნენ წინ იმჟამინდელი რეჟიმი და მათი უცხოელი პატრონები! ამიტომაც, ეს დღე ჩვენი სიამაყის საერთო საფუძველია! ეს დღეც ჩვენია, როგორც 26 მაისი, როგორც 9 აპრილი! ამ ყველაფრისთვის სამშობლო თქვენი მადლიერია, მადლიერი ვარ მეც, როგორც თქვენი თანამებრძოლი, ქართველი კაცი!

მადლობას ვუხდი „ქართული ოცნების“ თითოეულ თანამებრძოლსა და მხარდამჭერს. მადლობა ყველას, ვინც 1 ოქტომბერს ჩვენთან ერთად უშიშრად დადგა, გასული 12 წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად ღირსეულად იარა დანაღმულ ველზე და გაუძლო ყველანაირ ზეწოლას, რათა დღეს ისევ ჩვენ გვერდით ყოფილიყო!

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს ისტორიის ჩარხი წაღმა დატრიალდა. არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმი დავამარცხეთ და ქვეყანა დავიბრუნეთ, არამედ, ამ დღიდან მოყოლებული, მივაღწიეთ ფუნდამენტურ წინსვლას ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით, იქნება ეს დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ჯანდაცვა, ეკონომიკა თუ სხვა. ეს ხელშესახები წინსვლა არა მხოლოდ ჩვენი მონდომებისა და ძალისხმევის, არამედ იმ ბეწვის ხიდზე სწორად სიარულის შედეგია, რომელზეც მთელი განვლილი 12 წლის განმავლობაში ვიარეთ და დღემდე ვაგრძელებთ სვლას.

დიდხანს ვცდილობდით, ამ თემაზე საჯაროდ არ გვესაუბრა, რათა მოსახლეობა არ დაგვეთრგუნა, მაგრამ 2012 წლის 1 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას ბეწვის ხიდზე გვიწევს სიარული, რათა გარე და შიდა მტრების მხრიდან ქვეყნის არევის გამუდმებული მცდელობის პირობებში, ქვეყანაში უწყვეტი მშვიდობა შევინარჩუნოთ და არ დავუშვათ ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, არ დავუშვათ ის, რაც 2008 წელს გამოვიარეთ, არ დავუშვათ, რომ ჩვენი ქალაქების, სოფლების და ჩვენი შვილების თავზე ცეცხლის წვიმა მოდიოდეს!

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ამ ბეწვის ხიდზე სიარულისას ბრძოლის მთავარი ხაზი გადიოდა ჩვენს დამოუკიდებლობაზე, მშვიდობაზე, თავისუფლებაზე, ჩვენი რწმენის, კულტურის, ისტორიისა და იმ ღირებულებების დაცვაზე, რისთვისაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გავერთიანდით!

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა შეძლო, რომ ამ ბეწვის ხიდზე საქართველო და ჩვენი მოსახლეობა 12 წლიანი უწყვეტი მშვიდობით ეტარებინა. და ახლა, როცა ამ რთული გზის გადამწყვეტ მონაკვეთს გავდივართ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ ვაჩვენოთ ერთიანობის უპრეცედენტო მაგალითი. 26 ოქტომბრის არჩევნებზე ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეთ, რათა ვერავინ ვერასდროს გაბედოს, რომ იოტისოდენა ეჭვი მაინც შეიტანოს „ქართული ოცნებისადმი“ საქართველოს მოსახლეობის მხარდაჭერაში, ვერავინ შეიტანოს მცირეოდენი ეჭვი იმაში, რომ საქართველოს მოსახლეობა ირჩევს არა ომს, არამედ მშვიდობას, არა უცხო ქვეყნის აგენტებს, არამედ ქართველი ხალხის ინტერესების დამცველ გუნდს, არა ფსევდო ლიბერალურ ღირებულებებს, არამედ ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს, არა იმ კატეგორიულად მიუღებელ მოცემულობას, რაც რადიკალურ ოპოზიციას და მათ უცხოელ მფარველებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ, არამედ ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალს!

ამიტომაც, პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს. 26 ოქტომბერს დღის წესრიგში არა მხოლოდ პოლიტიკური სიმპათია-ანტიპათიის, არამედ საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას! უფლისა და სამშობლოს წინაშე ვალდებულნი ვართ, რომ ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალ თაობას დამოუკიდებელი და მშვიდობიანი საქართველო დავუტოვოთ. ამიტომაც, 26 ოქტომბერს კვლავ უნდა გავერთიანდეთ და გავიმარჯვოთ!

ჩვენი ერთადერთი გზა არის - მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით და კეთილდღეობით ევროპისაკენ!

გაუმარჯოს ერთიან, ძლიერ და გაბრწყინებულ საქართველოს!

ბიძინა ივანიშვილი,

„ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე

ხაშურელი სტუდენტის წარმატება

სანდრო ლიჩელი ბრატისლავას ეკონომიკის უნივერსიტეტზე შთაბეჭდილებებს გვიზიარებს

თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკის მიმართულების სტუდენტი სანდრო ლიჩელი, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, სლოვაკეთში, ბრატისლავას ეკონომიკის უნივერსიტეტში სწავლობდა.

,,არსებობს მრავალი მიზეზი, რის გამოც სასურველი გახდა ჩემთვის საზღვარგარეთ განათლების მიღება. მოუთმენლად ველოდი გაცვლითი პროგრამის გამოცხადებას და გამიხარდა, როდესაც ბრატისლავას ეკონომიკის უნივერსიტეტში მოვხვდი. სლოვაკეთის დედაქალაქი ლამაზი და მრავალფეროვანია თავისი ღირსშესანიშნაობებით და არქიტექტურით. გაცვლითი პროგრამის პერიოდში, ასევე, მქონდა შესაძლებლობა მოგვენახულებინა სლოვაკეთის მრავალი ქალაქი და მეზობელი ქვეყნები (ავსტრია, ჩეხეთი, უნგრეთი).

სწავლების მეთოდები ბრატისლავას უნივერსიტეტში განსხვავდებოდა ჩვენი სასწავლებლისგან, რაც ჩემთვის საინტერესო პრაქტიკა იყო. მომეცა შანსი – შემესწავლა საინტერესო დისციპლინები უცხოურ ენაზე. სალექციო კურსები მოიცავდა ჯგუფურ სამუშაოებს, ამოცანებს, პრეზენტაციებს ისეთ საინტერესო თემებზე, როგორიცაა მარკეტინგი, პროექტების მართვა, ფინანსები, ფასიანი ქაღალდის ბაზრები და ა.შ.; ასევე, გვქონდა შეხვდრა მოწვეულ ლექტორებთან სხვადასხვა ევროპული ქვეყნიდან (პოლონეთი, გერმანია). მათ გაგვიზიარეს თავიანთი შეხედულებები მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებზე, მდგრად განვითარებაზე, ბიზნეს გარემოზე, მეწარმეობის სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.

სწავლების პერიოდის განმავლობაში გამეცნო უამრავი სტუდენტი სხვადასხვა ქვეყნიდან, რომელთა ნაწილთან დღემდე მაქვს ურთიერთობა. მათთან ურთიერთობისას გავეცანი მათ ენას, კულტურულ თავისებურებებს და მეც მომეცა შანსი, რომ მათთვის გამეზიარებინა ინფორმაცია ქართული ენის, დამწერლობის, ისტორიის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების შესახებ, რამაც ბევრ მათგანში დიდი ინტერესი გამოიწვია.

სასწავლო პერიოდში მოგვეცა საშუალება, რომ უცხოელი სტუდენტებისთვის შეგვეთავაზებინა ქართული კერძები და სასმელები, რითაც აღფრთოვანებულნი დარჩნენ“, – ასე გვიზიარებს თავის შთაბეჭდილებებს სანდრო ლიჩელი.

სანდრო ამაყობს, რომ თსუ-ს სტუდენტია. როგორც თავად ამბობს, ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე მას საშუალება მიეცა შეესწავლა ფუნდამენტური ეკონომიკური კონცეფციები, პრინციპები და თეორიები. ,,აქ გავიღრმავე თეორიული ცოდნა, რომელიც საჭიროა ეკონომიკური საქმიანობისა და ბიზნეს გადაწყვეტილებების მოტივების, გამოვლენის ფორმების, ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ტენდენციების და მოსალოდნელი შედეგების დასადგენად და გასაანალიზებლად. მოხარული ვარ, რომ უნივერსიტეტმა მომცა შანსი გაცვლითი პროგრამის საშუალებით მიმეღო განათლება ევროპის ქვეყანაში, საიდანაც მიღებული ცოდნა და გამოცდილება დამეხმარება ჩემი კარიერული წინსვლის პროცესში“, – აღნიშნავს სანდრო.

ნინო კაკულია

– ძიუდო –

ზაურ დვალაშვილის ვერცხლი

გასულ კვირას, არაბეთის გაერთიანებული საამიროების დედაქალაქში - აბუ-დაბიში დასრულდა გრანდ-სლემის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის ნაკრებიც მონაწილეობდა. 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა ჩვენმა თანაქალაქელმა ზაურ დვალაშვილმა. ვულოცავთ მას ამ წარმატებას და გვჯერა მომავალში იგი ბევრჯერ ასახელებს ხაშურს და მთელ ქვეყანას.

ახალ პროფესიულ კოლეჯს, ახალი სამარშრუტო ხაზი მოემსახურება

კოლეჯში სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, 15 ოქტომბრიდან, კოლეჯში ვიზიტორებს მოემსახურება სამარშუტო ხაზი #77: რუსთაველის ქუჩა - ახალი ბანას ქუჩა

გასვლა - 9:30, 11:30, 14:30 და 17:30 საათზე - რუსთაველის ქუჩის ბოლოდან (ავტოსადგურზე, შადრევნის მოედნის მიმდებარედ, რუსთაველისა და ბორჯომის ქუჩის გადაკვეთა)

უკან დაბრუნება - 10:00, 12:00, 15:00 და 18:00 საათზე - ახალი ბანას ქუჩიდან (ზემო სერი, კოლეჯის წინამდებარე ტერიტორია)

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.